ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
24
აგვისტო
№101 (10494)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროებითი ღონისძიება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების გამოცემის რეგლამენტირების ღონისძიებათა საკითხი.

ქაღალდის რესურსების მწვავე დეფიციტსა და პოლიგრაფიული საწარმოების გადატვირთვასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების ტირაჟის, პერიოდულობისა და მოცულობის რეგლამენტირების მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ სთხოვა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოში საბეჭდი ქაღალდის მომარაგებისა და ჟურნალ-გაზეთების გამომშვები პოლიგრაფიული საწარმოების სიმძლავრეთა შესაბამისობაში მოყვანამდე გაითვალისწინონ აღნიშნული მდგომარეობა და უწყვეტი კუთვნილების მიუხედავად, 10 აგვისტოდან დროებით ორჯერ შეამცირონ ყველა გაზეთის, მათ შორის საქალაქო და რაიონული გაზეთების ტირაჟი, ფორმატი ან პერიოდულობა. ეს არ შეეხება გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკა", „სვობოდნაია გრუზია" და „თბილისი" (მათი გამოსვლის პერიოდულობა განისაზღვრა შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკა" და „სვობოდნაია გრუზია" გამოვა კვირაში ხუთჯერ „თბილისი"—კვირაში ოთხჯერ). პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე უნდა განახევრდეს ჟურნალების ტირაჟი, მოცულობა ან პერიოდულობა.

ეს შეზღუდვა ვრცელდება კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პერიოდულ გამოცემებზეც.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" „საქინფორმს, გამომცემლობა „სამშობლოს", „სოიუზპეჩატის" ,რესპუბლიკურ სააგენტოს დაევალათ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გასწიონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ზემოაღნიშნული დროებითი ღონისძიების შესახებ.

იმის გამო, რომ მკვეთრად გაიზარდა ქაღალდისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების ღირებულება და ჟურნალ-გაზეთების 1991 წლის ფასები მათ რეალურ ღირებულებაზე ბევრად ნაკლებია, —გამოცემათა მოცულობისა და პერიოდულობის შემცირების მიუხედავად, — ჟურნალ-გაზეთების საცალო და ხელმოწერის ფასები უცვლელი რჩება.

პოლიგრაფიული ბაზის გადატვირთვისა და ქაღალდის დეფიციტის გამო დროებით უნდა შეჩერდეს ახალი პერიოდული გამოცემების (მათ შორის ერთჯერადის) გამოშვება.

გამომცემლობა „სამშობლოს" პოლიგრაფიული ბაზის გადატვირთვასთან დაკავშირებით, ჟურნალ-გაზეთების აწყობისა და ბეჭდვის მოსაწესრიგებლად საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტს, გამომცემლობა „სამშობლოს", დაინტერესებულ უწყებებთან ერთად დაევალათ შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და, სტამბების სიმძლავრეთა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ერთობლივად განსაზღვრონ პერიოდულ გამოცემათა გამომცემლობა „სამშობლოს" და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის პოლიგრაფიულ საწარმოებზე მიმაგრების ნუსხა. ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მიერ გამომცემლობა „სამშობლოსთან" დადებული ხელშეკრულებები გადაისინჯება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის დამლევამდე უნდა გამოძებნოს ჟურნალ-გაზეთების გარკვეული ნაწილის დასტამბვის შესაძლებლობანი.

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ და გამომცემლობა „სამშობლომ" უნდა მიიღონ ზომები 1991 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქაღალდის შემოსატანად, აგრეთვე 1992 წლისათვის საჭირო გაზეთის ქაღალდით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტს, გამომცემლობა „სამშობლოს" რჩევა მიეცათ დააწესონ მკაცრი კონტროლი ქაღალდის შემოზიდვის, განაწილებისა და ხარჯვისადმი.

**საქინფორმი**

## „ოდიშის" მკითხველებს

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, თუ როგორი საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ქაღალდის დეფიციტის გამო რესპუბლიკის მასშტაბით. კარგა ხანია, რაც მთელი რიგი რესპუბლიკური და რაიონული გაზეთები გამოდის განახევრებული ფორმატით და შემცირებული ტირაჟით. ამასთან დარღვეულია გაზეთების გამოსვლის დადგენილი გრაფიკი. გამონაკლისი არც ჩვენი გაზეთი „ოდიშია", ცენტრალიზებული წესით მიღებული ქაღალდის მესამე კვარტალის ფონდი იწურება მეოთხე კვარტალის ფონდის მიღებაზე ყოველგვარი იმედი გადაწურულია.

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დღეიდან გაზეთი „ოდიში" მიმდინარე წლის ბოლომდე გამოვა შემცირებული ტირაჟით. ამასთან შეიცვლება პერიოდულობის დადგენილი გრაფიკი. გაზეთი „ოდიში" გამოვა კვირაში ორჯერ, სამშაბათს და შაბათს.

ჩვენ კარგად გვესმის თუ რაოდენ უხერხულობას გამოიწვევს გაზეთის ტირაჟის შემცირება და პერიოდულობის გრაფიკის შეცვლა, მაგრამ რა ვქნათ, როცა სხვა გამოსავალი არ არის.

ახლა, როცა დაწყებულია ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია, ქაღალდის დეფიციტის მხრივ შექმნილი მდგომარეობა გარკვეულ შეფერხებებს შეუქმნის გაზეთ „ოდიშის" გავრცელების საქმეს. მაგრამ გვჯერა, რომ ზუგდიდელი მკითხველები შეგნებულად მიუდგებიან შექმნილ მდგომარეობას და როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხარდაჭერას და თანადგომას არ მოაკლებენ გაზეთის კოლექტივს.

## მ ი მ ა რ თ ვ ა
## ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მოსახლეობისადმი

როგორც თქვენთვის ცნობილია მიმდინარე წლის 27 აგვისტოს არის რელიგიური დღესასწაული „ჭიაკოკონობა", რომლის დროსაც ხდება მასიურად ცეცხლის დანთება.

ჩვენი თხოვნა და მოთხოვნაა არ დაუშვათ ისეთი საგნების დაწვა, როგორიცაა საბურავები, პლასტმასისა და პენოპლასტის ცელოფანის ნარჩენები, და სხვა [illegible], რომლებიც ძლიერი გამონაბოლქვის გამო აბინძურებენ ატმოსფერულ ჰაერს მავნე აირებით.

გთხოვთ სოფლის გამგებლებს, ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეებს, საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, შინაგან საქმეთა საქალაქო რაიონულ განყოფილების მუშაკებს, ყველა ზუგდიდელ მშრომელს გაგვიწიონ [illegible]ედითი დახმარება, რომ აღმოვფხვრათ ატმოსფეროს დაბინძურება.

ბუნების დაცვის ოდიშის რეგიონალური კომპლექსური ლაბორატორია.

ხალხი ფიქრობს, სჯის

## ერთმანეთის მხარში ამოდგომით

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ ტელევიზიით გაკეთებულმა განცხადებამ ღრმად უნდა ჩააფიქროს ყოველი ჩვენგანი. მის გამოსვლაში აქცენტები გაკეთებულ იქნა იმ უმთავრეს და საჭირბოროტო პრობლემებზე, რომელთა მიმართ ყურადღება ქართველმა კაცმა ერთი წუთითაც არ უნდა მოადუნოს. უპირველეს საბრძოლო ამოცანად ისახება წლევანდელი მოსავლის აღების კამპანიის მაღალორგანიზებულად ჩატარება ცხადია, ძალზე მკაცრი ზამთარი მოგველის და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დავიჭერთ თაღარიგს ქირნახულის დასაბინავებლად.

პრეზიდენტმა მოსახლეობას თხოვა მაქსიმალური სიფხიზლის და მხარდაჭერის გამოჩენა ყოველგვარი არაკანონიერი მოქმედებების აღსაკვეთად. არ არის დასამალი, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც თავიანთი ანგარებითი, მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად არაფერს არ ერიდებიან. ერის, სახელმწიფოს ინტერესები მათთვის ლიტონი ცნებებია. საჭიროა ვამხილოთ ასეთები, რათა მათი აგკაცობით საერთო საქმე არ დაზიანდეს.

პრეზიდენტის უპირველესი მიზანია რესპუბლიკაში ერთგულების დამკვიდრება, ისეთი მორალური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, როცა ორგულს და ქვეგამხედვარს ასპარეზი არ ექნება. ამისათვის ყველამ უნდა გავიღოთ ჩვენი წილი მსხვერპლი. სიძნელის, გაჭირვების თმენით, ნებისყოფის მობილიზებით და საკითხებისადმი პრინციპული დამოკიდებულებით ჩვენ ავიცდენთ ყველა ხიფათს.

ჩვენი გამარჯვება ერთსულოვნებაშია.

დ. როგავა,
პედაგოგი.

# ...თუ გავყვებით ბუნებას როგორც ხელმძღვანელს,

ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციის შესახებ პროგრესულმა პრესამ სავსებით სრულყოფილად აუწყა საზოგადოებას. ამდენად ფაქტების ხელახალ მიწოდებას საჭიროდ არ ვთვლით.

ქ. ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობა გამოთქვამს პროტესტს რეაქციული შავბნელი ძალების მოქმედების გამო და აცხადებს, რომ ვდგავართ და დავდგებით იქ, სადაც ერის ინტერესები მოითხოვს.

## ხომ არ აჯობებდა?

ბაზარი ერთ-ერთი უმტკივნეულესი რგოლია იმ მწვავე ეკოლოგიურ პრობლემათა ნუსხაში, რომლებიც სადღეისოდ არსებობენ ქალაქში.

ავტოსადგომისა და ფრინველთა ბაზრის ტერიტორიის უქონლობა, მუშახელის საგრძნობი სინაკლებე და აქედან გამომდინარე საშინელი ანტისანიტარია... და მაინც ალბათ, არსებობს გამოსავალი.

გამოსავალი არსებობს, მაგრამ ბაამისოდ დრო და გარკვეული რაოდენობის თანხაა საჭირო—ეს ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორის ბატონ ბორის ჩულიას აზრი გახლავთ.

ბაზარში გასაყიდად შემოსული პროდუქციის მთლიანად შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია და ისევ გილაცის სინდისზე ვრჩებით დამოკიდებულნი.

გვინდა საზოგადოებას ჩვენი, ქ. ზუგდიდის მწვანეების ერთი მოსაზრება გაგაცნოთ:... ხომ არ აჯობებდა თითოეულ გლეხს, რომელიც ბაზრის ტერიტორიაზე საკუთარ პროდუქციას შემოიტანს გადაეხადა გარკვეული გადასახადი, თუნდაც მანეთის ოდენობით და ეს თანხა აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავებას მოხმარებოდა... დავფიქრდეთ... ვგონებთ, ღირს სადღეისოდ ამ უმნიშვნელო გადასახადის გაღება, თუ კი ის ეკოლოგიურ ად მწვავე მდგომარეობაში მყოფ ბაზრის ტერიტორიის გაწმენდას მოხმარდება...

## ქალაქ ზუგდიდის მწვანეების მიმართვა საზოგადოებრიობას

უკანასკნელმა სამმა წელიწადმა რწმენის აღზევება მოუტანა ქართველ კაცს, სრულიად საქართველოს. იმ რელიგიურ რიტუალებს თუ დღესასწაულებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე არაერთგვაროვან დათრგუნვას განიცდიდნენ, ერის რწმენისადმი დიდმა სიყვარულმა და მოკრძალებამ. გაამლებინა დღემდე. არა მარტო ქრისტიანულ არამედ ჩვიდმეტსაუკუნოვან წარმართულ რიტუალებსაც სოცარი რწმენით ასრულებენ ჩვენში. ერთერთი მათგანი მარიამობის წინა დღე ქიაკოკონობაა. ამ დღესასწაულს უძველესი ტრადიცია აქვს. განსაკუთრებით სიმბოლური მნიშვნელობა აქვს კოცონზე გადახტომას, რომლის დროსაც ხალხის რწმენით ადამიანი თავისუფლდება ავი თვალისაგან.

დროება შეიცვალა და კოცონის დასანთებად ფიჩხი თუ შეშის კონა პრობლემა გახდა. შეშა შეცვალა გაცვეთილმა საბურავმა, რომლის წვის დროსაც გამოყოფილი ნივთიერებანი დიდ ზიანს აყენებენ გარემოს, მწვანე ნარგაობას, ადამიანებს. და თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის მასშტაბით საბურავების წვის შედეგად გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა საერთო რაოდენობას, საგანგაშო სტატისტიკას მივიღებთ.

საბურავების წვის დროს გამოიყოფა მური, ნახშირორჟანგი, ნახშირბადის (მე-2) ოქსიდი და სხვა ტოქსიკური ნივთიერებანი.

ატმოსფეროს აეროზოლებში ნახშირის ნაწილაკების მაღალი კონცენტრაცია იწვევს სასუნთქი გზებისა და ფილტვების დაავადებებს.

ნახშირში აღმოჩენილია 1,2 ბენზპირენი, რომელიც ითვლება ზედა სასუნთქი გზების, ფილტვებისა და კანის ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების ეთიოლოგიურ ფაქტორად.

ნახშირბადი (მე-2) ოქსიდი ანუ მხუთავი გაზი მომწამლავი ნივთიერებაა, რომელიც ახდენს უშუალო ტოქსიკურ ზემოქმედებას უჯრედებზე, არღვევს ქსოვილურ სუნთქვას და ამცირებს მათ მიერ ჟანგბადის მოხმარებას. მხუთავი გაზი ამცირებს გულის პარკუჭის ვიბრაციას, იწვევს კარდიოდეპრესიულ ზემოქმედებას, ზრდის სისხლის შედედებას, ზრდის თირკმლების მიერ ერითროპოეთინის გამოყოფას. განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მოზარდები და ორსული ქალები. მკვეთრი ანემიის დროს შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის სიკვდილი. საბურავების წვის დროს გამოყოფილი ნივთიერებების მავნე ზეგავლენათა შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანდა.

ზუგდიდის რეგიონალური მწვანეთა მოძრაობა მოგიწოდებთ საკრებულოებს, ქუჩის კომიტეტებს, მთელ საზოგადოებას არ დაუშვათ ეკოლოგიურად მავნე საბურავების გამოყენება კოცონის დასანთებად.

## რა ხდება ანაკლიაში?!

—საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სოფელ ანაკლიაში შავი ზღვის სანაპიროსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო გაურკვეველი სახის მშენებლობა. თუ ეს პორტია, ეკოლოგიურად პორტის აშენება დამღუპველ ზეგავლენას მოახდენს ხოფელზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისედაც დაბინძურებულ შავ ზღვაზე. ქ. ზუგდიდის მწვანეებისათვის გაუგებარია შენდება თუ არა იგი საერთოდ და რა შენდება, კერძოდ, პორტი, სატვირთო თუ სამგზავრო პირსი.

ქ. ზუგდიდის მწვანეებმა აღნიშნული მდგომარეობის შესახებ მიმართეს რესპუბლიკის მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას შემდეგი განცხადებით:

„ღრმად პატივცემულო ბატონო თენგიზ, ზუგდიდის რაიონში, კერძოდ, სოფელ ანაკლიის სანაპიროს მოადგა ხუთი გემი, რომლებიც განუწყვეტლივ დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ. ჩვენთვის და ზუგდიდელი საზოგადოებისათვის გაურკვეველია თუ რა მნიშვნელობის სამუშაოებს ეწევიან ეს ხომალდები. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩვენთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ისინი გემების შემოსვლის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ფლობენ. ჩვენ ძალიან ვწუხვართ შექმნილი სიტუაციის გამო, რამეთუ გვაქვს არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პორტის მშენებლობა განუზრახავთ. ეს ეკოლოგიურად გაუმართლებელია და დამღუპველია ჩვენი რაიონისათვის. გაურკვეველია თუ ვინ აფინანსებს. რატომ აფინანსებს და საერთოდ რა მეურნეობრივ მიზნებს ისახავს პორტის მშენებლობა, რა თქმა უნდა, თუ ის შენდება.

ზუგდიდის მწვანეები მოგმართავთ თხოვნით, გაგვარკვიოთ შექმნილ სიტუაციაში და იდუმალებით მოსილ მშენებლობას ნათელი მოჰფინოთ.

პატივისცემით ზუგდიდელი მწვანეები“.

მივიღეთ პასუხი რომ საკითხის შესწავლა ბატონ დ. ნაკანს დაევალა:

„გთხოვთ შეისწავლოთ ადგილზე დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ საქართველოს მწვანეთა ზუგდიდის რაიონულ ორგანიზაციას“.

განცხადებისა და პასუხის გამოქვეყნება იმიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ პრეფექტურა ირონიულად შეხვდა ჩვენს მიერ ამ საკითხზე განცხადებით მიმართვას მთავრობისადმი და საერთოდ, ამ პრობლემის წამოჭრას. გვინდა საზოგადოებას ვაუწყოთ, რომ პორტის მშენებლობის საკითხი სოფელ ანაკლიაში რეალურად იდგა. ამას მოწმობს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ხოშტარიას გამოსვლა ქ. ზუგდიდში, პრეფექტის განცხადება იმის შესახებ, რომ ზუგდიდში პორტის აშენებას მწვანეებს არავინ შეეკითხება, ბატონ დ. ნაკანის გამოსვლა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მან განაცხადა, რომ რეალურად იდგა საკითხი ანაკლიაში პორტის მშენებლობის შესახებ, მაგრამ მთავრობა ალბათ, ამ საკითხს უარყოფითად გადაწყვეტდა.

ყოველივე ამ გამოსვლებმა და გემების შემოსვლამ მოგვცა საბაბი იმისა, რომ მთავრობისათვის მიგვემართა ზემოთ აღნიშნული განცხადებით. ჩვენ მივესალმებით მთავრობის უარყოფით დამოკიდებულებას ამ პორტის მშენებლობის მიმართ და ფოთის პორტის გაფართოებას, მივესალმებით სამგზავრო პირსის მშენებლობასაც (თუ ის მართლა ამ დანიშნულების იქნება), რამეთუ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის არ არის ცნობილი თუ რა პირსი შენდება და ამის შესახებ მათ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ბატონმა თამაზ ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ეს პირსი შენდება საქქალაქმრეწვის მიერ. რომლის აშენებაზეც მათ უფლება მიეცათ 5-6 წლის უკან.

და ბოლოს, ქ. ზუგდიდის მწვანეები საზოგადოებრიობას ვაძლევთ პირობას ავიტანოთ ყოველგვარ ცინიზმს, ირონიას, შეურაცხყოფას, მაგრამ ბუნების შეურაცხყოფის უფლებას არავის არ მივცემთ. აქა ვდგავართ და სხვანაირად არ ძალგვიძს.

მინაწერი: წერილი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ბატონმა ზ. თოლორაიამ განაცხადა, რომ ქალაქისა და რაიონის პრეფექტმა თ. ჟორჟოლიანმა გ. ხოშტარიასთან შეხვედრისას, სადაც იყო აზრთა სხვადასხვაობა ფოთის პორტის გაფართოებასა ან ანაკლიაში აშენებაზე კატეგორიულად აღნიშნა, რომ სოფელ ანაკლიაში. ის პორტის აშენების მომხრე და მეტიც, ინიციატორია.

ინტერვიუ

## ეკოლოგიური მდგომარეობა მეტად მძიმეა...

### მესაუბრებით ბატონ პაატა ჩუხუას

1. ბატონო პაატა, თქვენ უშუალოდ ხელმძღვანელობთ რაიონის სოფლის მეურნეობას, ამდენად საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნებოდა თქვენი აზრი რაიონში არსებულ საერთო ეკოლოგიურ მდგომარეობაზე...

—მოგახსენებთ. რაიონში საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. გაჩეხილია ტყეები. ზუგდიდის სატყეო მეურნეობიდან 1700 ჰექტარი სავსებით არაკანონიერად წალენჯიხის სატყეოს ეკუთვნის. ჩვენ ეს საკითხი რამდენჯერმე დავსვით სატყეო სამინისტროში, პასუხი ერთგვაროვანი იყო: ფართობი არ შეიძლება გადაეცეს ზუგდიდის რაიონს. რაც შეიძლება უნდა შემცირდეს ხეების ჭრა. ოფიციალურად 300 კუბმეტრი ხის მოჭრაა დაშვებული ბაღებისა და სკოლებისათვის.

2. პრეფექტურასთან ხომ არ ფუნქციონირებს ან ხომ არ არის გათვალისწინებული ეკოლოგიური კომისიის ჩამოყალიბება, რომელიც ამ მიმართულებით რაიონის მასშტაბით გასწევს კონტროლს...

—არსებობს კომისია, რომლის უმთავრეს მისიასაც მწვანე ნარგაობის ზედამხედველობა წარმოადგენს. წელიწადში 100 კუბმეტრზე მეტი ხის მოჭრა დაუშვებელია!

3. და, ბოლოს ბატონო პაატა, როგორც რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქმიანი დახმარების გაწევას ხომ არ აპირებთ ეკოლოგიური სამსახურებისადმი?...

—მწვანეთა მოძრაობა რამდენიმე წინადადებით შემოვიდა ერთ-ერთი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის გაუქმება იყო... შეძლებისდაგვარად ვცდილობ დავეხმარო და საერთოდ კეთილგანწყობით ვარ მწვანეთა მოძრაობისადმი.

## სასუქები... ღია ცის ქვეშ

ქალაქისა და რაიონის მინერალური და ორგანული სასუქებით უზრუნველყოფა წარმოადგენს სოფლქიმიის ძირითად მიზანს. ამჟამად ამ ორგანიზაციის ბაზაზე ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც ბაზარში შემოსული პროდუქციის ვარგისიანობაზე აწარმოებს კონტროლს. როგორც „სოფლქიმიის“ დირექტორმა ბატონმა ოთარ ჭანიშვილმა საუბარში აღნიშნა, საწყობების უქონლობის გამო სასუქები ხშირად ღია ცის ქვეშ რჩება, რაც ზიანს აყენებს გარემოს.

არის აზრი ორგანიზაციის საერთოდ გაუქმების შესახებ, რის შემდეგაც მოსახლეობა კერძოდ მიიღებს საჭირო რაოდენობის სასუქებს.

— ეკოლოგიური სიწმინდისთვის კი აუცილებელია ორგანული სასუქების გამოყენება — ასეთია ბატონ ოთარის აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა არასწორი აგვირჩევია

რაც, უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა ჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ.., ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია, საით, როგორ შევძლებთ იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცეთ, დავემალნეთ?! „ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც“. (ვაჟა-ფშაველა).

## გაურკვეველია, რა მიზნით გადაეცა

ზუგდიდის სატყეო მეურნეობაში 9000 ჰექტარი ტყის ფართობი შედის. ოფიციალური დოკუმენტიდან, ჯერ კიდევ გასულ წელს ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული მეურნეობიდან 950 ჰექტარი უნდა გადასცემოდა გაერთიანება „საქქალაქმშენს“ ამოძირკვის უფლებით. რუსთაველის საზოგადოებისა და მწვანეთა მოძრაობის ერთობლივი პროტესტით მიაღწიეს, რომ ტყე არ ამოიძირკვა. დღემდე ტერიტორია საქქალაქმშენს რჩება, გაურკვეველია, რა მიზნით გადაეცა ფართობი „საქქალაქმშენს“, გაუგებარია მისი დანიშნულება და უმთავრესია ის რომ საზოგადოება უკვე მიღებულ, არც თუ ისე იშვიათად, არასწორ გადაწყვეტილებას იღებს. ვინ აგებს მწვანე ნარგაობის განადგურებაზე პასუხს ...მინისტრთა საბჭო, სატყეო სამინისტრო თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობა?!

ქ. ზუგდიდის მწვანეები აღნიშნული მდგომარეობის გამო გამოთქვამენ პროტესტს.

## საჭიროდ ვთვლით განვაცხადოთ

ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ დაკავებული იქნა მოქალაქე ბატონი ზურაბ ჭოლოგუა. ვინაიდან ქალაქში გავრცელებულია ჭორი, რომ ზურაბ ჭოლოგუა არის საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის წევრი, საჭიროდ ვთვლით განვაცხადოთ, რომ ბატონი ზურაბი არ არის აღნიშნული ორგანიზაციის წევრი და არავითარი კავშირი არა აქვს მწვანეთა მოძრაობასთან.

## პრობლემა პრობლემად რჩება...

ქ. ზუგდიდის რთულ ეკოლოგიურ მდგომარეობას არაერთ ფაქტორთან ერთად სატრანზიტო გზისა და ავტოსადგომების უქონლობაც განაპირობებს. ქუჩებს არა აქვთ გამტარიანობა, სატრანზიტო გზა ქალაქის ცენტრში გადის, არ არის საკმარისი რაოდენობით ხიდები... არსებულ სავალალო სინამდვილეს ერთი მეორისაგან გამომდინარე მიზეზებითა თუ შედეგებით სრულ განუკითხაობამდე მივყავართ...

ქალაქ ზუგდიდის ავტოინსპექციის თანამშრომლებთან საუბარში აღინიშნა, რომ ავტოსადგომებისთვის სპეციალური ადგილების გამოყოფაა საჭირო, ამასთან ქალაქში აუცილებელია სატრანზიტო გზის გაყვანა, რომელიც სატვირთო მანქანებისაგან განტვირთავს ცენტრალურ გზებს.

პრობლემა პრობლემად რჩება... და ასე იქნება მანამ, ხანამ შესაბამისი სამსახურები არ მიიღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს და არ განახორციელებენ მას. იქნებ ღირდეს ამაზე დაფიქრება.

## ქრონიკა, ინფორმაცია

16 აგვისტოს ქ. ზუგდიდის მწვანეებმა პიკეტირება მოაწყვეს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმ მწვავე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტოსადგომის მდებარეობა ქმნის. ნადგურდება მწვანე ნარგაობა — შესანიშნავი კანადური ალვის ხეები, იქმნება ანტისანიტარია, ბინძურდება ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მდინარე ჩხოუშია. არაერთხელ იქნა მიმართული ამის თაობაზე შესაბამისი სამსახურებისადმი. ჯერაც არაფერი შეცვლილა. პიკეტი მოიხსნა პრეფექტურის წარმომადგენლის საქმიანი დაპირების საფუძველზე. დაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში მწვანეები მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომებს.

* * *

ეკოლოგიურად ურთულეს მდგომარეობაშია მდინარე ჩხოუშიას ორივე სანაპირო, რომელსაც სხვა არაერთ პრობლემასთან ერთად საწარმოო ობიექტები, ავტოგასამართი სადგურები და მანქანის სამრეცხაოები ქმნიან. ქალაქის გამწმენდი ნაგებობა ერთიორად აბინძურებს მდინარეს. ადგილობრივ პრესაში არაერთხელ გამოქვეყნდა აღნიშნული ინფორმაცია. რაიონის ხელმძღვანელობამ ყურადღების ღირსად არ ჩათვალა ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, არ მიუღია არავითარი ზომები.

* * *

განუკითხაობაა ბაღებსა და სკოლებში საწვავით მომარაგების მხრივ. ტყე განადგურების პირსაა. უნდა გამოინახოს სხვა გზა, კერძოდ, შესაბამისმა სამსახურებმა დღესვე უნდა იზრუნონ ბაღებისა და სკოლების საწვავით მომარაგებაზე.

* * *

სოფელ ინგირში 9 ჰექტარი ფართობი ნავთობბაზას ეკუთვნის, რომელიც ეკოლოგიურად მძიმე მდგომარეობას ქმნის მოსახლეობაში, კერძოდ, სახმარად უვარგისია ჭები. სოფლის ხელმძღვანელობამ.. მოსახლეობასთან ერთად, კოლექტიური განცხადებით მიმართა შესაბამის სამსახურებს. შედეგი ჯიანურდება.

როგორც ქ. ზუგდიდის ეკოცენტრიდან გვაცნობეს, მიმდინარეობს ჭების ვარგისიანობის შემოწმება. წინასწარი მონაცემებით სასმელი წყალი ნორმაზე ორჯერ დაბინძურებულია. ანალიზი გრძელდება.

მასალები მოამზადა ქ. ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ზაია კვარაცხელიამ.

ქ. ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის პრეს-ცენტრი მადლობას უხდის გაზეთ „ოდიშის“ რედაქციას გვერდის დათმობისათვის.

მსოფლიო მასშტაბურ ცვლილებათა ფონზე ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი ქვეყნების კომპარტიათა სახელწოდების ცვლილება, მაგალითად პოლონეთში უკვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია კი არა, პოლონეთის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიაა. იტალიაშიც კი ფასადებს ცვლიან, მაგრამ გავიხსენოთ ბიბლიური ანდაზა „ახალ ღვინოს ძველ ტიკჭორაში არ ასხამენ“. ძველ საყრდენზე ახალი სახელებით მოვლენილი პარტიები სახელწოდებაშეცვლილი ძველია, რითაც ცდილობენ მოირგონ ახალი სამოსელი, სინამდვილეში კი შინაარსით იგივენი რჩებიან. მათ სახელწოდებაში ყველგან ფიგურირებს უტოპიური სიტყვა კომუნიზმი.

ამ შინაარსისაა მწერალ ვლადიმერ სოლოუხინის წერილი „ახალ ღვინოს ძველ ტიკჭორაში არ ასხამენ“, რომელიც ამხელს კომპარტიის ძველ და ახალ ცოდვებს და რომლის თარგმანიც დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“.

გთავაზობთ ამ წერილს შემოკლებით:

## მონანიების ნაცვლად — სიმღერა

...პარტიამ უნდა აუხსნას მოსახლეობას: ბოლოსდაბოლოს მიახლოებით მაინც რა უნდა აშენდეს. ამის ახსნა აუცილებელია, რათა ადამიანებმა შეგნებით იშრომონ, რომ მათი თაობები ათწლეულების მანძილზე რისთვის სძლევენ წინააღმდეგობებს, რისთვის ითმენენ ამდენ გაჭირვებას, რისთვის დაკარგეს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი (ომის მსხვერპლს არ ვგულისხმობთ), რისთვის დგანან გაუთავებელ რიგებში (ათწლეულობით) ავტომობილების, სარეცხი მანქანებისა და მაცივრების საღგურის მოედნებზე ტაქსების (საათობით), ტანსაცმლის რიგებში, რატომ სჭირდება ამდენი დრო კაფეში შესვლას, ერთი ჭიქა ლუდის დალევას, ტელე... ...გმას... რას ნიშნავს ჩ... სიტყვა „კომუნიზმი“, რაკი პარტია კომუნისტურის სახელით განაგრძობს არსებობას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს დედამიწის ზურგზე არავინ იცის.

ხრუშჩოვმა დაიქადნა, კომუნიზმს 20 წელიწადში, 1980 წლისთვის ავაშენებთო. რას გულისხმობდა ის? და საერთოდ რა იყო ეს? სისუსტე? მაგრამ ის ხომ გენერალური მდივანი იყო. ის ხომ პარტიის სახელით ლაპარაკობდა და ეს პარტიის პროგრამაშიც კი იყო შეტანილი. თუ ის ფიქრობდა, რომ ადამიანების, როგორც უწიგნური, უმეცარი არსებების მოტყუება შეიძლებოდა? მაგრამ რას ფიქრობენ პარტიის მილიონობით წევრები? ცხადი მაგალითით ...თვილია იმის გაგება, რომ პარტიის რიგითი წევრები არც არაფერზე ფიქრობენ, ყოველ შემთხვევაში არც არაფერზე ფიქრობდნენ იმ წლებში... მრავალმილიონიანი პარტია, მისი რიგითი წევრები არაფერს წყვეტენ. ყველაფერი კეთდება პარტიის სახელით, მაგრამ ყველაფერს რამდენიმე კაცი აკეთებს. დანარჩენები ყოველთვის ნებისმიერ საკითხში მათ ეთანხმებიან. და აი, ჩვენ ვაშენებდით კომუნიზმს, თან ვისწრაფოდით, რომ ამ მშენებლობას რაც შეიძლება მეტი ქვეყანა, ჩვენი სურვილით მთელი მსოფლიო მოეცვა, და ამავე დროს არ ვიცოდით, სახელდობრ რა უნდა აგვეშენებინა. სიტყვა „კომუნიზმი“ იმ თივის კონის მაგვარი რაღაც იყო, რომელსაც ჰკიდებენ სახედრის დრუნჩის წინ, რათა მან განუწყვეტლივ სდიოს ამ კონას, მაგრამ ვერასდროს დაეწიოს.

სკკპ 27-ე ყრილობისგან ბევრს ელოდნენ, თანაც ელოდნენ არა იმდენად მომავლის პერსპექტივას (სკკპ-ს მომავალი არა აქვს), რამდენად განვლილი გზის მართალ, გულწრფელ, ულმობელ შეფასებას.

...ცალკეული ადამიანები, რომლებიც პარტიას ემსახურებოდნენ, წავიდნენ, მაგრამ პარტია ჯერ კიდევ რჩება და მეტიც, ინარჩუნებს თავის სახელწოდებას.

პარტიას თავის ავტორიტეტული წარმომადგენლის ბაგეებით ყველას გასაგონად უნდა ეთქვა, რომ ის დამნაშავეა:

...მასში, რომ მისი სახელით... გაირეკა დამფუძნებელი კრება, უკანონო, ძალმომრეობითი გზით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, ...ა არამარტო ძალმომრეობით, ...მედ სიცრუის გზითაც, მასში, რომ პარტიის სახელით გაჩაღდა სისხლისმღვრელი ძმათამხოცავი ომი, მასში, რომ თავისი მბრძანებლობის მანძილზე ხელისუფალნი, ართმევდნენ რა გლეხებს პურს, მრავალგზის ახდენდნენ ინსპირირებას შიმშილისა, რომელიც მილიონობით სიცოცხლეს იწირავდა და რომელსაც ხალხი კაციჭამიობამდე მიჰყავდა, მასში რომ, თვითონ ხელისუფლებისა და ქვეყნის მიმტაცებელთა მიერ გამოწვეულ შიმშილთან ბრძოლის საბაბით გაიძარცვა და გაიზიდა ეკლესიებსა და მონასტრებში საუკუნეების მანძილზე ნაგროვები უთვალავი სიმდიდრე, მასში, რომ პარტიის სახელით მასობრივად გაჟლიტეს დონელი და ყუბანელი კაზაკები, როცა საგანგებო დანიშნულების შენაერთები სპობდნენ მთელ სტანიცებს ბავშვებიანად და ქალებიანად,, მასში, რომ მიზნად დასახული ჰქონდათ არა თავიანთი სახელმწიფოსა და ხალხის აყვავება, არამედ მოჩვენებითი და უტოპიური მსოფლიო რევოლუციის მოხდენა, მსოფლიო კომუნისტური სისტემის შექმნა... მასში, რომ ყველა — თავისი ქმედების შედეგად პარტიამ ქვეყანა უკანასკნელ ზღვრამდე მიიყვანა, ის ეკონომიკურ, სოციალურ, ხალხთა შორის ურთიერთობების, ეკოლოგიურ ვითარებათა ისეთ მორევში გადაუშვა, რომ ახლა არ ვიცით, როგორ შეიძლება ამ მორევიდან ამობობღება.

და აი, იმის მაგივრად, რომ დაუფარავად, ხმამაღლა აუწყოს მთელი ქვეყნის მოსახლეობას, მთელ კაცობრიობას მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული, ის თავის სახელწოდებას ინარჩუნებს და თავს იკატუნებს, იმის მაგივრად, რომ ხმამაღლა მოენანიებინათ, ისინი წამოდგნენ და... „ინტერნაციონალი“ იმღერეს.

დღეს ამ სიტყვებს ბაღლებიც კი არ აღიქვამენ სერიოზულად, ესენი ... დგანან და მღერიან.

...ამბობენ, რომ დარბაზში ...ორგრამ ... ჩართული და პროფესიონალი ... მღერის და ისეთ საჭირო ... ფეხზე მდგარმა დარბაზმა პირი ... და დახუროს, რომ იმის მოჩვენებითობა შექმნან, თითქოს მღერისო. ვერაფერს იტყვი კარგ ესეც ხომ ... რია.

## გმადლობთ მკურნალო!

რამდენიმე თვეა, რაც ჩვენს ქალაქში კერძო პრაქტიკას ეწევა ექიმ-ნევროპათოლოგი ნინა ოვრახი.

რედაქციაში შემოდის არაერთი მადლობის წერილი, სადაც პაციენტები მადლიერებას გამოხატავენ მკურნალის მიმართ.

აი, ზოგიერთი მათგანი: „მაწუხებდა საშინელი თავის ტკივილი, მივმართე ნინა ოვრახს, ჩამიტარა მკურნალობა ბალახებით, მასაჟით, მომეხსნა ყოველგვარი ტკივილი. მადლობა მას. ზ. ჯანია". „ვიყავი ჰიპერტონიული, მქონდა კარდიოპათია, კლიმაქტერიული კარდიოპათია, ქოლეცისტიტი. ამჟამად ისე კარგად ვგრძნობ თავს, თითქოს ამ ქალბატონმა ჯანმრთელობასთან ერთად ძალა შემმატა. გ. ფიფია-კარტოზია".

მსგავს წერილებს წერენ ჯ. ქობალია, თ. ახალაია გალიდან, ნ. წურწუმია, მ. გურგენიძე და მრავალი სხვა.

მკურნალის მისამართია: ზუგდიდი, პლეხანოვის ქ. № 24.

ნინა ოვრახი.

---

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი

დავით აღმაშენებლის ქუჩა № 4.

30 აგვისტო 1991 წელი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

„ამირანი" ოჩამჩირე „ბათუმი" ბათუმი

დასაწყისი 17 საათზე და 30 წუთზე

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი ჩატარდება 29 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე, წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თამაში ჩატარდება ზუგდიდის რაიონი სოფელ რუხის სტადიონზე. 17 საათზე.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში"

---

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

1991 წლის 27 აგვისტოს 19 საათზე ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება კონცერტი ახალი პროგრამით, რომელშიც მონაწილეობენ: მერაბ სეფაშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ზურაბ კოპეშავიძე, ირაკლი მენთეშაშვილი. ერთი ბილეთის ღირებულება 10 (ათი) მანეთია.

კონცერტის დაწყების წინ გათამაშდება ერთგულების ლატარია, გათამაშებაშია: ფერადი ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, სპორტული ველო-ტრენაჟორები. კონცერტზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის სალაროებში: 25, 26, 27 აგვისტოს დილის 10 საათიდან.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

---

ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის ცენტრალიზებული კულტურის სახლის დირექცია აცხადებს მსურველთა მიღებას შემდეგ წრეებსა და სტუდიებში.

1. მუსიკალური ათწლედის — მოსამზადებელ და პირველ კლასებში.
2. ქსოვისა და ქარგვის — ცხრათვიან კურსებზე.
3. ჭრა-კერვის შემსწავლელ კურსებზე — (9 თვიანი).
4. ქართული ხალხური საკრავებზე დაკვრის შემსწავლელი (ჩონგური, ფანდური, სალამური, ჩანგი, დიპლიპიტო, ჭიანური) სტუდიაში — (3 წლიანი).
5. გიტარაზე დაკვრის შემსწავლელ წრეში — (9 თვიანი).
6. ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ცისკარში" — (ერთწლიანი).
7. ქალთა ვოკალურ ჯგუფში.
8. ვაჟთა ვოკალურ ჯგუფში.
9. მანქანაზე წერის შემსწავლელ კურსებზე — (9 თვიანი).
10. ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელ სტუდიაში — (3 წლიანი).
11. ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე—(ერთწლიანი).
12. კოსმეტიკისა და ჰიგიენის შემსწავლელ კურსებზე — (9 თვიანი).

შენიშვნა: — მუსიკალურ ათწლედში ჩარიცხულნი იხდიან წელიწადში 260-მანეთს, დანარჩენ წრეებზე თვეში 15-15 მანეთს. ხოლო ქალთა, ვაჟთა, ვოკალურ ჯგუფებში და ვოკალურ ინსტრუმენტულ ანსამბლის წევრებზე საკონცერტო პროგრამის მომზადების შემდეგ გაიცემა ხელფასი 150- მანეთიდან 200-მანეთამდე. დატვირთვის მიხედვით.

მეცადინეობა დაიწყება 10-სექტემბერს.

ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ოქტომბრის კულტურის სახლს, ყოველდღე დილის 10 საათიდან 20 საათამდე

ტელეფონი: 2-57-28.

დ ი რ ე ქ ც ი ა.

---

## მადლობას იმსახურებენ

ქალაქის ელქსელის (უფროსი ბ. კვარაცხელია) მუშაკებმა ბოლო დროს გარკვეულწილად გააუმჯობესეს საქმიანობა. ახლა დაზიანებებზე ოპერატიულად რეაგირებენ, გრაფიკის დაცვით და აკურატულად ანხორციელებენ აღდგენით სამუშაოებს და სხვ.

მოსახლეობას ჩინებულად ემსახურებიან ელექტრომონტიორები ი. კუკავა, გ. ჭელიკავა, ჟ. ქადარია... კოლექტივში ბევრია ნაღდი ადამიანი და კარგი სპეციალისტი. წარმატებები იყოს მათი მეგზური.

ვ. ჯღამაია, ომისა და შრომის ვეტერანი.

---

1991 წლის 1 სექტემბერს 17 საათზე სოფ. რუხის სტადიონზე ჩატარდება ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ორულუს და ანაკლიის ფეხბურთელთა გუნდებს შორის, გათამაშდება ერთგულების ლატარეა:

გათამაშებაშია: 1. ხაძინებელი ოთახის გარნიტური 1 ცალი (7000 მანეთის ღირებულების).

2. იაპონური მაგნიტოფონი 2 ცალი (1500 მანეთის).

3. სკამები 6 ცალი (200 მანეთი).

4. მამაკაცის ჯემპრი 7 ცალი (თითო 1000 მანეთი).

5. შარვალი 1 ცალი (1000 მანეთი).

6. შარვალი 6 ცალი (თითო 800 მანეთი).

ბილეთები გაიყიდება 26 აგვისტოდან ყველა წარმოება-დაწესებულებაში.

ორულუს რძის საწარმო.

---

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი კიევ-ელი ნინა ოვრახი 1 დეკემბრამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, (ყოფილი პლეხანოვის) ქუჩა № 24 ყოველდღე (გარდა ორშაბათისა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

---

## ე. კუჭავა-ფარცხალაძე

ზუგდიდის რაიონის პედაგოგიურმა საზოგადოებამ გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი ეკატერინე გახუს ასული კუჭავა-ფარცხალაია.

ე. გ. კუჭავა დაიბადა 1906 წელს ხობის რაიონის სოფ. საჯიჯაოში. ზუგდიდის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ერწო-თიანეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად. 1926 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ჯერ ჭიათურის სამთო-სამრეწველო, შემდეგ, ლუქსემბურგის ინტერნაციონალურ და ჩხარის რაიონის თუზის საშუალო სკოლებში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1937 წლიდან მუშაობას იწყებს ზუგდიდის რაიონის რიყის საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1953-59 წლებში ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა. მან დიდი წვლილი შეიტანა მათემატიკოსთა კადრების აღზრდის საქმეში. დღეს მრავ...

სკოლას ამშვენებს მის მიერ აღზრდილი მათემატიკოს-მასწავლებელთა კადრები. ე. გ. კუჭავა გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნითა და დახვეწილი პედაგოგიური ტაქტით, რის გამო. ის დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა პედაგოგთა, მოსწავლეთა და მათ მშობელთა შორის.

რიყის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მის მიერ აღზრდილები არასდროს დაივიწყებენ ე. კუჭავას ნათელ ხსოვნას.

რიყის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

---

## ა. გ. დანელია

ჩაის მრეწველობის სისტემის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა, ომისა და შრომის ვეტერანი, 1914 წელს დაბადებული ინჟინერ-მექანიკოსი აპოლონ (ბურდა) გუსარის ძე დანელია.

ა. დანელია სრულიად ახალგაზრდა 1932 წლიდან შეუდგა შრომით საქმიანობას ქალაქ ოდესაში საზღვაო ფლოტში, სადაც მუშაობდა მექანიკოსად. იქვე მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა, რომლის დამთავრების შემდეგ 1946 წელს დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში და დაიწყო მუშაობა სოფ. ახალკახათში მექანიკოსად.

1949 წლიდან მუშაობდა ჩაის მრეწველობის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე; ინგირის, ცაიშის, წალენჯიხის, ხოლო 1975 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კახათის ჩაის ფაბრიკაში.

დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით. მიღებული ჰქონდა აგრეთვე ფულადი ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან უპრეტენზიო, კეთილსინდისიერი პიროვნება, თავისი საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მეგობრებისა და ამხანაგებისათვის.

ამხანაგების ჯგუფი.

---

რედაქტორი

აკ. ჭანტურია.

---

დედა ზინა, შვილები: ტარიელი, ზურა ცხონდიები, დები: მარუსია, გული, ძმა ბორისი კვარაცხელიები, რძლები: მარინა ქარდავა, გულნარა, ნათელა ვარო კვარაცხელიები, სიძეები ლადო კვერნაძე, თენგიზი ფალიანი, შვილიშვილები: ნიკა, ვიკა ცხონდიები, ძმისშვილები: ფრიდონი, ზვიადი, სოსო კვარაცხელიები, მულისშვილები მურთაზი, ბორისი, ლიანა ბულიები, ციალა, გული თოდუები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვანდა ათანასას ასულ კვარაცხელია-ცხონდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 აგვისტოს, დაკრძალვა 29 აგვისტოს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი ცოტნე დადიანის ქ. № 2.

---

მე-4 საშუალო სკოლის 1976 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

**ბადრი ომარის ძე ქარჩავას**

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მზევი ხურცილავა, შვილები: პაატა, ჯულიეტა, ძმადნა თალიკო, მამა გულიკო, ძმა რაგენი, დები: რენადა, ნატო შეონიები, სიდედრი ლეილა, სიმამრი გვანჯი, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**გურგენ გულიკოს ძე შედიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 აგვისტოს, დაკრძალვა 29 აგვისტოს სოფ. ერგეტაში.

---

ერგეტის მეურნეობის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან გურგენ გულიკოს ძე შედიას გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქალაქის სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინა ქირიას მაზლის

**მერაბი ვაჟას ძე ბჟალავას**

გარდაცვალების გამო.

---

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის აპარატი, ქალაქის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს პაატა ხუხუას ბაბუას

**ჯოგო ქუზუს ძე ჩუხუას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ნუნუ, სიძე ალიკო, შვილიშვილები გიორგი ირაკლი, მზახლები მარგო, აკაკი ფიფიები იუწყებიან

**ფუნა გრიშას ასული ფაცაცია-მოსიძის**

გარდაცვალებას.

---

სოფელ რიყის საკრებულო იუწყება გენადი ფარცხალაიას დედის

**ეკატერინე კუჭავა-ფარცხალაიას**

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ი ნ დ ე ქ ს ი 66307 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-60, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რ.-დიორედაქციის 2-47-00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 5000 — შეკ. № ...